საქართველოს მთავრობის

დადგენილება №69

2019 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს, 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/01/2014, 300160070.10.003.017684) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ (დანართი №1) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგისტრირებული დღის ცენტრის მომსახურების შემთხვევაში – ამ პროგრამის ფარგლებში მოქმედი სხვა დღის ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია (დღის ცენტრებისთვის აღნიშნული განახლებული ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო);“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ (დანართი №1) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მომსახურებაში ჩართულ პერსონალს, გარდა ტექნიკური პერსონალისა, გავლილი ჰქონდეს სატრენინგო კურსი, რომელიც შეთანხმებულია სამინისტროსთან (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე ბავშვთა დღის ცენტრებისთვის);“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**